ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

„ნეირობიოლოგიის აქტუალური საკითხები-2018“.

2018 წლის 21 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ინიციატივით, ბიოლოგიის დეპარტამენტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანადგომით 11:00 საათზე გაიხსნება ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია „ნეირობიოლოგიის აქტუალური საკითხები-2018“.

კონფერენცია მიზნად ისახავს ფარმაკოლოგიური პრეპარატების გამოყენების მნიშვნელოვანი პრინციპების განხილვას და ეძღვნება ფიზიოლოგიასა და მედიცინის დარგში აღნიშნული კვლევების ნობელის პრემიით დაჯილდოვების 30 წლის იუბილეს.

კონფერენციაზე სამეცნიერო მოხსენებებთან ერთად, წარმოდგენილი იქნება ნეიროფარმაკოლოგიასა და ფსიქოფარმაკოლოგიის მიმართულებით საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევები, მოხდება ზოგადნეირობიოლოგიური აქტუალური საკითხების განხილვა, რაც მიზნად ისახავს ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის გაზრდას.

ჩატარების ადგილი: თსუ 11 კორპუსი. აუდიტორია 421 (უნივერსიტეტის ქ.2)